პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

გამოდის მე-8 წელი

№ 15 (510) ოთხშაბათი, 20 თებერვალი, 1952 წ. ფასი 30 კაპ.



ალმა-ატის მახლობლად მდებარე მაღალმთიანი საციგურაო, რომელზეც ჩვენი ქვეყნის მოციგურეებმა დაამყარეს ახალი საკავშირო და მსოფლიო რეკორდები.

სეზონი იხსნება 2 მარტს

მიმდინარე წლის საზაფხულო სპორტული სეზონის მაღალ დონეზე ჩატარებისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 31 წლისთავთან დაკავშირებით ფიზკულტურული ღონისძიებების მოწყობის მიზნით წლევანდელი საზაფხულო სპორტული სეზონი რესპუბლიკაში იხსნება 2 მარტს.

ჩვენს რესპუბლიკაში ბოლო წლების მანძილზე შესანიშნავი ტრადიცია დამკვიდრდა: საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები, სპორტსმენები, მწვრთნელები ცდილობენ რაც შეიძლება გაადიდონ, გაახანგრძლივონ სპორტული ზაფხული. საზაფხულო სეზონის ადრე გაზაფხულზე გახსნა და გვიან შემოდგომაზე დახურვა — ასეთია ეს კარგი ტრადიცია.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი ფიზკულტურული ორგანიზაციები თავიანთი არაორგანიზებული საქმიანობის შედეგად ამახინჯებენ ამ ტრადიციას და ნამდვილ, გეგმიან მუშაობას საპარადო ხმაურითა და თვალისმომჭრელი აღლუმებით ცვლიან. ისინი დაწესებულ ვადებში ორკესტრის საზეიმო ჰანგების ქვეშ აღმართავენ ხოლმე სეზონის გახსნის ალამს, გამართავენ ორ-სამ ასპარეზობას და შემდეგ ისევ დახურულ დარბაზებში გადაიტანენ მუშაობას, გადაიტანენ კარგა ხნით, რამდენიმე თვით.

ეს პრაქტიკა, ცხადია, ძალზე მავნეა და საზიანო. ჯერ ერთი, ასეთი ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელნი თვალისმბზეკვთა როლში გამოდიან (მათ არ ესმით, რომ, პირველ რიგში ისინი თავიანთ თავს ატყუებენ!), მეორე — თვალსაჩინოდ ფერხდება სპორტსმენთა დახელოვნებას შემდგომი ზრდა, მესამე—იგი უარყოფითად მოქმედობს მასობრივი ფიზიკური კულტურის პროპაგანდაზე მშრომელთა შორის და ახალგაზრდობის ჩაბმაზე სპორტულ მეცადინეობაში.

მიმდინარე წლის საზაფხულო სპორტული სეზონის გახსნასთან დაკავშირებით საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანებია დასახული, რომელთა გადაჭრაზე უშუალოდაა დაკავშირებული როგორც სპორტული ზაფხულის პირველი დღეების, ისე მთელი სეზონის წარმატებით ჩატარება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა ფიზკულტურის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების საბჭოებს დაავალა კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად დასახონ ღონისძიებანი, რომლებიც მიეძღვნება რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 31 წლისთავს და 1952 წლის საზაფხულო სპორტული სეზონის გახსნას. ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციების ვალია მაღალ დონეზე მოაწყონ ეს ღონისძიებები.

2 მარტამდე სულ რაღაც 10 დღეა დარჩენილი. ამ მცირე ხნის განმავლობაში საჭიროა დიდი მუშაობა იმ ვარაუდით, რომ სპორტულ ზაფხულს ყოველმხრივ მომზადებული შეეხვედეთ. ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ გასაკეთებელი ძალზე ბევრია; საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ დარჩენილი დროის ყოველ საათი.

პირველ ყოვლისა, აუცილებელია სპორტული ბაზების — სტადიონების, მოედნებისა და კორტების, სარბენი ბილიკისა და მძლეოსნური სექტორების, წყალჯიმარდობის სადგურების და სხვ. სრულ წესრიგში მოყვანა. საასპარეზო ადგილები, სათანადოდ, მხატვრული გემოვნებით უნდა იქნეს გაფორმებული.

სპორტული შეჯიბრება მონაწილეთა დახელოვნებისა და ოსტატობის შემდგომი სრულყოფის გარდა მიზნად ისახავს ფიზიკური კულტურის პროპაგანდას მოსახლეობის ფართო ფენებში, ახალგაზრდობის ახალი მასების ჩაბმას სპორტში. ამიტომ, მიმზიდველი უნდა იყოს ყოველი საასპარეზო ადგილი, მაღალხარისხოვნად გარემონტებული და კეთილმოწყობილი. სპორტსმენს შეჯიბრებისას ხელი არ უნდა შეუშალოს სარბენი ბილიკისა თუ ველოდნის რაიმე დეფექტმა,—დეფექტები არ უნდა იყოს! ამავე დროს, მაქსიმალური ყურადღებითა და გულისხმიერებით უნდა ვიზრუნოთ მაყურებელთა კულტურული მომსახურებისათვის.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბაზებზე თვალსაჩინოებათა გამართვას. რეკორდების ცხრილები, სხვადასხვა სახის სტენდები, სპორტული ლოზუნგები და პლაკატები, მშთ კომპლექსისა და სათანრიგო მოთხოვნათა ნორმატივები, — აი, ასე უნდა იყოს მორთული ყოველი ბაზა. ამავე დროს საჭიროა სპორტული ბიულეტენებისა და კედლის გაზეთების გამოფენა, რადიოინფორმაციის მოწყობა.

ზაფხულის სეზონის გახსნის აღსანიშნავად ფიზკულტურის ძირეულ კოლექტივებში უნდა გაიმართოს სხვადასხვა მასობრივი შეჯიბრებები, ასპარეზობანი მშთ კომპლექსზე ნორმების ჩასაბარებლად, სამატჩო შეხვედრები, სპორტული საღამოები და დღესასწაულები, აგრეთვე გამოსვლები რეკორდების დასამყარებლად.

ამ რთულ და საპასუხისმგებლო მოსამზადებელ მუშაობაში ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა მიიზიდონ და გამოიყენონ საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრები — ძირეული კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეები, ინსტრუქტორები, მსაჯები, ფიზორგები, მწვრთნელები. ამ კადრების ახლო გაცნობით, მათი შესაძლებლობებისა და მიდრეკილებათა შესწავლით ფიზკულტურულ ორგანიზაციებს საგრძნობლად გაუადვილდებათ შემდგომი საქმიანობა: ისინი ხომ მთელი წლის მანძილზე საზოგადოებრივ კადრებთან ხელიხელჩაკიდებულნი იმუშავებენ!

ჩვენ სპორტული ზაფხულის ზღურბლზე ვდგევართ. ყოველი ფიზკულტურული ორგანიზაციის პატრიოტული ვალია მზადყოფნაში, სრულ წესრიგში შეხვდეს საზაფხულო სეზონს და ყოველი ღონისძიება ჩაატაროს მასობრივ ფიზკულტურულ მოძრაობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმისა და სპორტსმენთა ტექნიკური მაჩვენებლების შემდგომი ამაღლების ნიშნით.

☆

ახალი რეკორდი

მოსკოვი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშებისას ცურვაში შესანიშნავი წარმატება მოიპოვა ახალგაზრდა კიეველმა სპორტის ოსტატმა მარიამ გავრიშმა.

200 მეტრი ბრასის სტილით მან გასცურა 2 წუთსა და 56,7 წამში, რაც სსრ კავშირის ახალი რეკორდია (ძველი რეკორდი მასვე ეკუთვნოდა და უდრიდა 2:59,3).

სახელოვანი წლისთავის შესახვედრად

ლანჩხუთი. მოეწყო საბჭოთა არმიის 34-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ველოგადარბენა მარშრუტით ლანჩხუთი-ჯაპანა-ლანჩხუთი. გადარბენაში მონაწილეობა მიიღეს ლანჩხუთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, ვაჟთა საშუალო სკოლის, სოფ. ლესისა და სოფ. გვიმბრალაურის კოლმეურნეობების ველოსპორტსმენებმა.

გ. რუსიძე

—⊙—

მუშა ფიზკულტურელები

ბათუმი. (ჩვენი საკ. კორ.). სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში ამ ბოლო ხანებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ფიზკულტურული მუშაობა.

საწარმოს 298 მუშა-მოსამსახურე ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ნეფტიანიკის“ წევრია. ყველა ფიზკულტურელი გაერთიანებულია სხვადასხვა სპორტულ სექციაში.

განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობენ მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, ძალოსნობის, კრივისა და სხვა სექციები.

ქარხანას აქვს კეთილმოწყობილი სპორტული ბაზა.

გაიხსნა ზამთრის VI ოლიმპიური თამაშები

30 ქვეყნის გუნდების მონაწილეობით

15 თებერვალს, ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში, ცენტრალურ სტადიონ „ბიშლეტზე“ დაიწყო VI საერთაშორისო ზამთრო ოლიმპიური თამაშები.

ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს 30 ქვეყნის, მათ შორის პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და რუმინეთის 1.200-მდე სპორტსმენი.

სლალომი, ბობსლეი და ციგურებით რბენა

16 თებერვალს დამთავრდა შეჯიბრებები სლალომში ვაჟთათვის და ბობსლეიში — წყვილ ციგებზე.

სლალომში (500 მ. სიმაღლიდან 2.200 მეტრზე დაშვება, 62 კარი) საუკეთესო შედეგები უჩვენეს: სტეინ ერიკსენმა (ნორვეგია)—2:25,0; კრისტიან პრავდამ (ავსტრია)—2:26,9; ტონი შპისმა (ავსტრია)—2:28,8.

ბობსლეიში (წყვილი ციგები) პროგრამით გათვალისწინებული ოთხი დაშვების შემდეგ საუკეთესო ადგილები დაიკავეს: დასავლეთ გერმანიამ —5:24,54 (ოთხივე დაშვების მიხედვით); ამერიკის შეერთებულმა შტატებმა—5:26,89; შვეიცარიამ—5:27,71.

ამ დღეს შედგა ციგურებით ჩქაროსნული რბენა 500 მეტრზე ვაჟთათვის, რომელშიც ნაჩვენები იქნა შემდეგი შედეგები: კენ ჰენრი (აშშ)—43,2; მაკდერმოტი (აშშ)—43,9; არნე იოჰანსენი (ნორვეგია)—44,0; ოდლეი (კანადა) —44,0; ფინ ხელგესენი (ნორვეგია)—44,0; რუარ ელვენესი (ნორვეგია) — 44,1; ტაკაბაიასი (იაპონია)—44,1.

შეჯიბრების მეორე დღეს გაიმართა აგრეთვე ასპარეზობა სლალომის სპეციალურ სახეში ვაჟთათვის (710 მეტრის სიმაღლის მთიდან დაშვება 2.435 მეტრის მანძილზე). ამ შეჯიბრებაში ნაჩვენები იქნა შემდეგი შედეგები: კოლო (იტალია)—2:30,8; შნეიდერი (ავსტრია)—2:32,0; პრავდა (ავსტრია) — 2:32,4;

ჩატარდა აგრეთვე ციგურებით ფიგურული სრიალის პირველი ტური ქალთათვის.

ყინულის მოედნებზე

გაიმართა რამდენიმე შეხვედრა შაიბიან ჰოკეში: ჩეხოსლოვაკია—პოლონეთი (8:2); აშშ—ნორვეგია (3:2); კანადა — დასავლეთ გერმანია (15:1); შვეიცია—ფინეთი (9:2); შვეიცარია — ფინეთი (12:0).

სპორტული ზამთარი ლენინაკანში

ლენინაკანი. საინტერესოდ მიმდინარეობს ზამთრის სპორტული სეზონი სომხეთის მეორე სამრეწველო ცენტრში. ქალაქის სტადიონი დილიდან საღამომდე სავსეა მოციგურეებით. მათი უკეთ მომსახურების მიზნით სტადიონზე მოწყობილია ციგურების გაქირავება.

სტადიონის ფეხბურთის მინდორზე მოეწყო ყინულის მოედანი, დაიდგა ჰოკეის კარები. ამას წინათ აქ ჩატარდა ლენინაკანის პირველობის გათამაშება რუსულ ჰოკეიში. შეჯიბრებაში, რომელშიც მონაწილეობდნენ „სტროიტელის“, „დინამოს“, „სპარტაკის“, „კრასნოე ზნამიას“ და ქალაქის განათლების განყოფილების სპორტული სკოლის ჰოკეისტები, გამარჯვება მოიპოვეს „სტროიტელის“ სპორტსმენებმა.

ჩატარდა აგრეთვე ქალაქის პირველობის გათამაშება სათხილამურო სპორტში.

ფეხბურთელთა პირველი შეხვედრები

ბაქო. 10 თებერვალს სტალინის სახელობის რესპუბლიკურ სტადიონზე შედგა ახალ სეზონში აზერბაიჯანის ფეხბურთელთა პირველი შეხვედრა მწვანე მინდორზე. თამაშობდნენ „ნეფტიანიკის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი და რესპუბლიკის ჩემპიონი—ტრესტ „ორჯონიკიძენეფტის“ საკომპრესორო მეურნეობის კოლექტივი.

ანგარიში გახსნეს ოსტატებმა, მაგრამ მათმა მეტოქეებმა მალე გაიტანეს საპასუხო ბურთი. ანგარიში 1:1 არ შეცვლილა თამაშის უკანასკნელ წუთებამდე.

„ნეფტიანიკის“ ფეხბურთელებმა მხოლოდ მსაჯის სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე შეძლეს მეორე ბურთის გატანა და მატჩის მოგება.

უკანასკნელ დღეებში ბაქოში გაიმართა კიდევ რამდენიმე საფეხბურთო შეხვედრა. ქ. ბაქოს და რესპუბლიკის თასების მფლობელმა—ბუდიონის სახელობის ქარხნის გუნდმა დაამარცხა ოფიცერთა სახლის ფეხბურთელები—4:3, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის კოლექტივმა მოუგო „ვოდნიკის“ ფეხბურთელებს — 4:0. „პიშჩევიკის“ და „ორჯონიკიძენეფტის“ ფეხბურთელთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2.

ს. ნენაშევის წარმატება

ბაქო. ამას წინათ ახალ წარმატებას მიაღწია 17 წლის უროს მტყორცნელმა სტანისლავ ნენაშევმა („დინამო“) — მან 5-კილოგრამიანი ურო ტყორცნა 67,43 მეტრზე, რითაც 50 სანტიმეტრით გააუმჯობესა საკავშირო რეკორდი 17-18 წლის ჭაბუკთა შორის, რომელიც მასვე ეკუთვნოდა.

1951 წლის დასაწყისიდან ს. ნენაშევმა შვიდჯერ გააუმჯობესა საკავშირო რეკორდი 5-კილოგრამიანი უროს ტყორცნაში. განსხვავება პირველსა და მეშვიდე რეკორდს შორის უდრის 11,13 მეტრს.

მოთხილამურეთა ასპარეზობა

ერევანი. ლენინაკანის მახლობლად მდებარე დასერილ მიდამოებში გაიმართა სომხეთის სოფლის ახალგაზრდობის რესპუბლიკური შეჯიბრება სათხილამურო სპორტში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 15 რაიონის 120 მოთხილამურე.

ოთხი დღის დაძაბული ბრძოლის შემდეგ საერთო გუნდური პირველი ადგილი დამსახურებულად მოიპოვა ხეიანის რაიონის კოლექტივმა. მეორე ადგილი ერგო კიროვაკანის რაიონის გუნდს.

ხაღიჩაზე — კოლმეურნე მოჭიდავეები

საბირაბადი. აქ გაიმართა აზერბაიჯანის სასოფლო სპორტსაზოგადოება „კოლხოზჩუს“ პირველობა აზერბაიჯანულ ჭიდაობაში („გულეში“).

პირველი ადგილი მოიპოვა გეოქჩაის რაიონის კარგად მომზადებულმა გუნდმა.

ნაყოფიერად მუშაობს თბილისის მოზარდთა სპორტული სკოლის ველოსიპედური სექცია. ახალგაზრდა ველოსიპედისტები თითქმის მთელი წლის მანძილზე ვარჯიშობდნენ ღია ცის ქვეშ, დაუღალავად იმაღლებდნენ სპორტული დახელოვნების დონეს. **სურათზე:** სექციის წევრები ლ. ჭიჭინაძე და ქ. მდივანი საწვრთნელი მეცადინეობის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ფიზკულტურის ინსტიტუტში

უმაღლესი კვალიფიკაციის ფიზკულტურული კადრების მომზადების საქმეში მთელი რიგი წლების მანძილზე ნაყოფიერად მუშაობდა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. მაგრამ ამჟამად ინსტიტუტი სათანადოდ ვერ ართმევს თავს ფიზკულტურის მასწავლებელთა კადრების მომზადებას.

სტუდენტებს როგორც სწავლაში, ისე სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებაში დიდად უშლის ხელს ის გარემოება, რომ ინსტიტუტს არა აქვს საკუთარი სპორტული ბაზები.

სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით ინსტიტუტში მოსწავლე 421 სტუდენტიდან სწავლაში ჩამორჩებოდა 69 კაცი. დაბალ აკადემიურ მოსწრებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 100-ზე მეტი სტუდენტი სამოსანია.

ერთ-ერთ მთავარ დისციპლინაში—ფიზიოლოგიაში გამოცდამ ცხადყო სტუდენტთა როგორც აკადემიური ჩამორჩენა, ისე უდისციპლინობა. მაგალითად, გამოცდების პირველ სამ დღეს სამი ჯგუფის 74 სტუდენტიდან საგნის ჩასაბარებლად გამოცხადდა მხოლოდ 17, აქედან 6 ჩაიჭრა, ხოლო 7 კაცმა ნიშანი „3" მიიღო. ამის გამო საჭირო გახდა გამოცდების განმეორებით დანიშვნა.

ცალკეული სტუდენტები უპასუხისმგებლობის მაგალითს იძლევიან. ა. მჭედლიძე ნახევარი წლის განმავლობაში პრაქტიკულ მეცადინეობას ფიზიოლოგიაში მხოლოდ ორჯერ დაესწრო, გამოცდაზე კი „შპარგალკით" მივიდა. ასევე უგულებელყოფენ პრაქტიკულ მეცადინეობას სტუდენტები ბ. ყარალაშვილი, ხ. ზედელაშვილი, ვ. მაისურაძე, დ. ჩაჩანიძე და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტებს დღემდე არ გააჩნიათ ფიზიოლოგიის სახელმძღვანელო მშობლიურ ენაზე. სტუდენტებისათვის დახმარების მიზნით ფიზიოლოგიის კათედრამ პროფ. ს. ნარიკაშვილის ხელმძღვანელობით შეადგინა „სპორტის ფიზიოლოგიის კონსპექტი", რომელიც გადაბეჭდილია ოთხ ეგზემპლარად. ცხადია, ეს საკმარისი არ არის.

ინსტიტუტის დირექციამ, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივმა სასწავლო წლის დამთავრებამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ იმისათვის, რომ ინსტიტუტს მეტი რაოდენობით ჰყავდეს ისეთი მოწინავე სტუდენტები, როგორიც არიან შ. ბუაძე, გ. გოდერძიშვილი, ს. კაციტაძე, კ. კაპანაძე, მ. პიპჩენკო და ლ. ჯაფარიძე.

ე. უზნაძე

ნადირობის ენთუზიასტები

ნადირობა ადამიანის ფიზიკური გამოწრთობის საუკეთესო საშუალებაა. იგი მას უმუშავებს დასახული მიზნისაკენ სწრაფვასა და ნებისყოფას, ამტანობას, გამბედაობასა და საზრიანობას.

ნადირობის ფართოდ პოპულარიზაციისათვის მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა მახარაძის მონადირეთა კავშირის რაიონული საბჭო.

მონადირეთა რაიონულ კავშირში გაერთიანებულია 1.300 წევრი. აქ დიდი ყურადღებით ეკიდებიან ჯიშიანი მონადირე ძაღლების გამრავლებას; ყოველწლიურად ეწყობა საუკეთესო ჯიშიანი ძაღლების გამოფენა.

რაიონში დიდი სიყვარულით სარგებლობს სასტენდო სროლა.

კ. ჩხაიძე

მახარაძის რაიონი.

ჩვენ გვწერენ

კოლექტივები ფორმალურად არსებობენ

ზუგდიდის რაიონის სოფ. ჭკადუაშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ფიზკულტურული კოლექტივი ფორმალურად არსებობს. აქ არავითარი შეჯიბრებები არ იმართება, არ ზრუნავენ მშთ ნიშნსნების მომზადებაზე, ფორმალურადაა შექმნილი „კოლმეურნის" ძირეული საბჭოც. ამ საზოგადოების წევრთა შორის სპორტული მუშაობა მთლიანად ჩაშლილია. კოლმეურნე ახალგაზრდებს არ გააჩნიათ ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები.

ასეთივე მდგომარეობაა სოფ. ანაკლიის ლენინის სახელობისა და სოფ. ჭაქვინჯის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობებში. ამ სასოფლო-სამეურნეო არტელებში არ არსებობს არც ერთი სახის სპორტული სექცია, სპორტული მოედნები და ინვენტარი.

ყოველივე ამას აღნიშნული კოლმეურნეობების ხელმძღვანელები, კომკავშირის პირველადი ორგანიზაციები და ფიზკულტურის ძირეული კოლექტივები გულხელდაკრეფილი შეჰყურებენ და კოლმეურნეთა შორის ფიზკულტურული მუშაობის გაშლის საქმეში სრულ უმოქმედობას იჩენენ.

სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რაიონულმა საბჭომ ქმედითი დახმარება უნდა აღმოუჩინოს აღნიშნულ კოლმეურნეობათა ფიზკულტურულ კოლექტივებს.

ბ. ალშიბაია

ზუგდიდის რაიონი.

მოკლე სიგნალები

ბორჯომის რაიონი. აქ სრულიად არ ექცევა ყურადღება საჭადრაკო სპორტის განვითარებას. რაიონში უბრალო ოთახიც კი არაა გამოყოფილი მოჭადრაკეთათვის.

მეორე წელია, რაც არ ჩატარებულა რაიონის პირველობა ჭადრაკში. ყველაფერი ეს ფიზკულტურელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

თ. ხუციშვილი

* * *

სამტრედიის რაიონი. სავალალო მდგომარეობაშია რაიონის სპორტსკოლის დარბაზი. უკვე რამდენი ხანია, რაც დარბაზის კაპიტალური რემონტი დაიწყო, მაგრამ მის დამთავრებას პირი არ უჩანს. ფანჯრის მინები ჩამტვრეულია, იატაკი ნახევრად აყრილია, კედლები გაულესავია. ამის გამო სპორტული სექციები აქ ვერ მუშაობენ.

ვ. მელქუ



მაყურებლის დარბაზი — ბიბლიოთეკა

თბილისის 1952 წლის პირველობა

ა. ბუსღაევი — ჩემპიონი

16 თებერვალი. დღეს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

საერთო ინტერესს იწვევდა ებრალიძისა და ჯაკობიას ორჯერ გადადებული პარტია. თამაშის განახლებისას ოსტატმა ვერ მონახა მოგების მოკლე გზა და პარტია კვლავ ძალზე გართულდა. მაყურებლებით სავსე დარბაზი უკვე მესამე დღეა სიამოვნებით ადევნებდა თვალყურს ამ ორთაბრძოლას. ჯაკობია დაუღალავად ცდილობდა ახალი სიძნელეების შექმნას, თამაში უკვე მე-14 საათს გრძელდებოდა (ამასობაში ტიმოფეევმა ადვილად დაამარცხა დავრანიანი).

დარბაზში ახლად შემოსული მაყურებელი მაგიდასთან მჯდომ, ჩაფიქრებულ ორ მეტოქეს—ებრალიძესა და ჯაკობიას რომ მოჰკრავდა თვალს, გაოცებით ამბობდა: კიდევ ესენი თამაშობენო?

და აი, 113-ე (!) სვლაზე, მხოლოდ ოსტატური თამაშით შეძლო ებრალიძემ მოწინააღმდეგის თავგამოდებული დაცვის დაძლევა და გამარჯვების მოპოვება.

* * *

17 თებერვალი. დღესაც გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო. ყურადღების ცენტრშია ებრალიძე—გაჩეჩილაძის პარტია. ოსტატს კარგი მდგომარეობა ჰქონდა; ანალიზის დროს საჭირო იყო თამაშის გაგრძელების სწორი გეგმის მოძებნა, რაც ებრალიძემ ვერ ნახა. გაჩეჩილაძემ ზუსტი, ერთადერთი სვლებით პარტია სხვადასხვა ფერის კუთა ენდშპილში გადაიყვანა. აქაც ებრალიძემ გაუშვა მოგების შესაძლებლობა და 77-ე სვლაზე პარტნიორები ყაიმზე შეთანხმდნენ. მართლაც, ძალზე მოუქნაცავს ებრალიძე გუშინდელ პარტიას ჯაკობიასთან.

ჯაკობიამ წააგო არნშტეინთან და გაჩეჩილაძესთან.

* * *

18 თებერვალი. დღეს შედგა ტურნირის დასკვნითი, XV ტური. დიდძალმა მაყურებელმა მოიყარა თავი სატურნირო დარბაზში, რათა თავის თვალით ეხილა ჩემპიონის „დაბადება".

ამ დღეს ყურადღების ცენტრში იყო ბუსლაევ—არნშტეინისა და ებრალიძე — გამრეკელის პარტიები.

დებიუტში მცირე შეტაკების შემდეგ ებრალიძემ არც აცია, არც აცხელა და გამანადგურებელი იერიშით 27-ე სვლაზე დაატყვევა გამრეკელის მეფე. ახლა საინტერესო იყო შეძლებდა თუ არა პარტიის მოგებას ბუსლაევიც. თამაშის მსვლელობაში გამოირკვა, რომ არნშტეინსაც მოგება სურდა, რათა დაწეოდა ებრალიძეს და ჩემპიონობის მოზიარე გამხდარიყო. მაგრამ მის მიერ პირდაპირ მოგებაზე თამაში ფსიქოლოგიურად გაუმართლებელი გამოდგა. ბუსლაევმა, რომელიც აგრეთვე მოგებაზე თამაშობდა, ადვილად მოიგერია არნშტეინის მცდარი შეტევა და ლაზიერის მოხდენილი შეწირვით 32-ე სვლაზე მოიგო პარტია და მასთან ერთად თბილისის 1952 წლის ჩემპიონის სპატიო წოდება.

წოწოლაშვილმა უშრომლად ერთი ქულა ჩაიწერა: მისი მოწინააღმდეგე ტუგარინოვი თამაშზე არ გამოცხადდა. ტიმოფეევმა ძლიერი შეტევა განავითარა და დაფის ცენტრში დაუშამათა ჯაკობიას მეფე. თაბორიძემ ციტნტში ვერ მოასწრო საკონტროლო სვლა, მას დავრანიანთან წაგება მიესაჯა. ტურნირში ყველაზე გვიან დამთავრდა ელიოზიშვილი-აღამალიანის პარტია. ახალგაზრდა მოჭადრაკემ ოსტატურად ითამაშა როუნდ. ენდშპილი და 50-ე სვლაზე მოიგო პარტია.

ტურნირის საბოლოო შედეგები ასეთია: I ადგილზეა ა. ბუსლაევი (10 ქულა), II — ა. ებრალიძე (9½ ქულა), III—ო. ელიოზიშვილი (9 ქულა). შემდეგ ადგილებზე არიან ჰ. არნშტეინი (8½), ო. წოწოლაშვილი (8), გ. გაჩეჩილაძე (7½), ა. ბლაგიძე, გ. გამრეკელი, ნ. ტიმოფეევი (6½ თვითეულს), გ. თაბორიძე (5½), ვ. ტუგარინოვი (4½), ვ. აღამალიანი (4), ა. დავრანიანი (3) და ა. ჯაკობია (2).

რასაკვირველია, ზოგიერთი მონაწილე უკმაყოფილია თავისი შედეგებით. ისინი იგონებენ სად მოგება, ხოლო სად ყაიმი გაუშვეს ხელიდან. ეს რომ არ ყოფილიყო, მაშინ პირველი ადგილებიც მათ დარჩებოდათ! მაგრამ რაღა გაეწყობა — ტურნირი დამთავრებულია.

ნ. იმესაშვილი

რაიონის ჩემპიონაჟი

მაიაკოვსკის რაიონში გაიმართა საჭადრაკო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდა 14 კაცი.

ტურნირში პირველი ადგილი მოიპოვა მაიაკოვსკის ვაჟთა საშუალო სკოლის წარმომადგენელმა დ. გეგეშიძემ.

ვ. ოკრიბელაშვილი,

მაიაკოვსკის ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.



ენერგიულად ემზადება მომავალი ასპარეზობებისათვის „ნაუკის" აკრობატთა წყვილი—სპორტის ოსტატები გ. გარსევანიშვილი და ი. ჩესნოკი. **სურათზე:** სსრ კავშირის ექვსგზის ჩემპიონები გარსევანიშვილი (დაბლა) და ჩესნოკი ვარჯიშისას.

ფოტო კ. კრიმსკისა.

ზოგიერთი შენიშვნა

საქართველოს მოთხილამურეთა XVII პირველობის გამო

ბაკურიანის ღრმა თოვლით დაფარულ წარმტაც ველებსა და გორაკებზე შვიდი დღის განმავლობაში ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ რესპუბლიკის საუკეთესო მოთხილამურეები, — 160-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა ამ საინტერესო ასპარეზობაში.

პირველობამ გამოავლინა მრავალი ახალგაზრდა ნიჭიერი მოთხილამურე. როგორც სხვადასხვა დისტანციებზე რბენაში, ისე სლალომსა და ხტომებში 45-მეტრიან ტრამპლინიდან ნაჩვენები იქნა მაღალი შედეგები.

მომზადებული კოლექტივი გამოიყენა შეჯიბრებაზე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

მტკიცე ტრადიციად დამკვიდრდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში სათხილამურო შეკრებები და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მონაწილეობა. წელს ინსტიტუტის გუნდმა მესამე ადგილი მოიპოვა II ჯგუფში.

აღსანიშნავია პირველობაში თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის მონაწილეობაც.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მთელი რიგი მიღწევებისა, რესპუბლიკაში სათხილამურო სპორტის განვითარება ჯერ კიდევ არ დგას მოწოდების სიმაღლეზე.

საკავშირო შეჯიბრებებზე გამარჯვებულთა შორის იშვიათად ვხვდებით საქართველოს წარმომადგენელთა სახელებს. ამის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენი მოთხილამურეები არ აწარმოებენ სისტემატურ სრულწლიურ ვარჯიშს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოთხილამურემ არ უნდა შეწყვიტოს წვრთნა ზაფხულშიც კი. არის სპეციალური წინასასეზონო ვარჯიშები, რომლებიც სპორტსმენს საშუალებას აძლევენ მომზადებული გავიდეს პირველ თოვლზე. საქართველოს მოწინავე მოთხილამურეები ასეთ მომზადებას არ გადიან; ისინი მხოლოდ თოვლის მოსვლის შემდეგ იწყებენ ვარჯიშს და ისიც უსისტემოდ.

სპორტსმენთა ასეთ უგულგმო და უხარისხო ვარჯიშში მნიშვნელოვანი ბრალი მიუძღვით მწვრთნელებსაც, რომლებიც სრული სერიოზულობით არ ეკიდებიან ამ საპასუხისმგებლო საქმეს, არ ზრუნავენ მოთხილამურეთა სპორტული მაჩვენებლების შემდგომი ზრდისათვის. ბევრი მათგანი თავს არ იწუხებს მოთხილამურეთა წვრთნით და ცდილობს გუნდის დაკომპლექტებას უკვე მომზადებული სპორტსმენებით. ასეთ პრაქტიკას კი მხოლოდ დიდი ზიანი მოაქვს.

ჯერ კიდევ მოუგვარებელია სპორტსმენთა საზოგადოებებზე დამაგრების საკითხი. არის შემთხვევები, როცა ერთი და იგივე სპორტსმენი ორ ან სამ ორგანიზაციაში ირიცხება და სხვადასხვა დროს სხვადასხვა შეჯიბრებაში მონაწილეობს. მაგალითად, ვერა მურჯიკნელი 11-დან 24 იანვრამდე საწვრთნელ ვარჯიშს გადიოდა „უროყაის" მოთხილამურეთა შორის. მან აქ მიიღო სათხილამურო ფეხსაცმელი, თხილამურები, სამაგრი, საწვრთნელ შეჯიბრებაშიც მონაწილეობდა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ეს სპორტსმენი მოგვევლინა „კოლმეურნის" რესპუბლიკური შეჯიბრების მონაწილედ. საჭიროა გადამჭრელი, მკაცრი ბრძოლა გამოვუცხადოთ სპორტსმენთა ერთი საზოგადოებიდან მეორეში ასეთ თვითნებურ „ექსკურსიებს!"

შეჯიბრების პერიოდში რამდენჯერმე შეიცვალა ამინდი: თოვლი ხან სველი იყო, ხან ფხვიერი, ხანაც მოყინული. ყოველ ასეთ შემთხვევაში საჭიროა თხილამურისათვის შესაფერი საცხის წასმა. მაგრამ გამოირკვა, რომ არა მარტო ჩვენმა მოთხილამურეებმა, თვით მწვრთნელებმაც არ იციან საცხის შერჩევა და დამზადება.

დიდი პოპულარობით სარგებლობს სათხილამურო სპორტი ბაკურიანის ახალგაზრდობაში. ბაკურიანელთა შორის მრავლად არიან შესანიშნავი მონაცემების მქონე სპორტსმენები. საკმარისია ითქვას, რომ განვლილ პირველობაზე ჩემპიონის წოდება მოიპოვა შვიდმა ბაკურიანელმა, გუნდებს შორის კი ბორჯომის რაიონის კოლექტივი არსად არ ჩანს! მომავალში შეჯიბრებების დებულება ისე უნდა იქნეს შედგენილი, რომ ბორჯომის რაიონმა დამოუკიდებლად შეძლოს შეჯიბრებაში მონაწილეობა. XVII პირველობაზე ბაკურიანის საშუალო სკოლის მოთხილამურეთა გუნდი შეჯიბრებაზე დაშვებულ იქნა კონკურსს გარეშე და ეს მაშინ, როდესაც ამ კოლექტივში საკმაოდ არიან მოზრდილთა ასპარეზობაში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე სპორტსმენები.

რამდენიმე სიტყვა ტრამპლინიდან მხტომელთა შესახებ. ბაკურიანელი ტრამპლინიდან მხტომელები კ. წაქაძე, ზ. თვაური და ა. ადამიანცი ძირითადად კარგად ფლობენ ხტომის ტექნიკას, მაგრამ მათ მაინც ბევრი მუშაობა ჰირდებათ შემდგომი სრულყოფისათვის. აქვე უნდა ითქვას, რომ ტრამპლინი ყოველთვის არ არის მომზადებული სპორტსმენთა ვარჯიშისათვის. განვლილ შეჯიბრებაზე 70-მეტრიანი ტრამპლინი დროულად და ხარისხიანად არ იქნა მომზადებული, ამიტომ მხტომელთა შედეგებიც დაბალი აღმოჩნდა.

ბაკურიანში სამთო-სათხილამურო სპორტის განვითარების შესანიშნავი პირობები არსებობს. რეგულარული, გეგმიანი წვრთნის შედეგად აქ შეიძლება აღიზარდონ პირველხარისხოვანი ოსტატები, რომლებიც შეძლებენ ღირსეულად დაიცვან საქართველოს სპორტული სახელი საკავშირო ასპარეზობებში.

რესპუბლიკის ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ წერილში მოყვანილი შენიშვნები და გამოასწორონ სათხილამურო სპორტში არსებული ჩამორჩენა.

ბ. ქოლქია

(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

ბაკურიანში

ფოტოეტიუდი მ. ზარგარიანისა.

აზერბაიჯანის მოთხილამურეთა შეჯიბრება

ბაკურიანი. (ჩვენი კორ.). უკანასკნელი წლების მანძილზე ბაკურიანი გადაიქცა სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთ საუკეთესო ბაზად ჩვენს ქვეყანაში. აქ ყოველ წელს საწვრთნელი ვარჯიშის ჩასატარებლად იკრიბებიან საბჭოთა კავშირის უძლიერესი მოთხილამურეები; იმართება შეჯიბრებები სლალომში, სწრაფდაშვებაში, ორჯიდში, ტრამპლინიდან ხტომაში.

ამას წინათ მოეწყო აზერბაიჯანის სსრ საუკეთესო სამთო-მოთხილამურეთა საწვრთნელი შეკრება, რომელშიც მონაწილეობდა „ნეფტიანიკის“, „ისკრის“, „ნაუკის“, აზერბაიჯანის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სხვა ორგანიზაციების 43 სპორტსმენი.

საწვრთნელი მეცადინეობის შემდეგ იქვე გაიმართა აზერბაიჯანის II პირველობა სამთო-სათხილამურო სპორტში (სლალომი და სწრაფდაშვება).

საინტერესოდ ჩატარდა შეჯიბრება სლალომში. ქალთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა „ნეფტიანიკის“ წარმომადგენელი ლ. მისკინა. ვაჟთა შორის აზერბაიჯანის ჩემპიონის წოდება მოიპოვა მ. პეტროვმა („ნეფტიანიკი“).

სწრაფდაშვებაში ქალთა შორის ჩემპიონობის პრეტენდენტები იყვნენ ლ. მისკინა და ნ. პანკრატოვა („ისკრა“). დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა პანკრატოვამ. მისი დროა 15,02. მისკინამ უჩვენა 17,00.

ვაჟთა შორის სწრაფდაშვებაში პირველი ადგილი მოიპოვა ი. ჯაფაროვმა (პოლიტექნიკური ინსტიტუტი). ჩემპიონმა ტრასა გაიარა 16,00 წამში.

სასკოლო კოლექტივებში

ახმეტის რაიონის მთელი რიგი სკოლების ფიზკულტურული კოლექტივები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან. ზშირად იმართება ნორჩი მოჭიდავეების, მოჭადრაკეების და სხვ. შეჯიბრებები.

ამას წინათ სოფ. აწყურის საშუალო სკოლის პირველმა გუნდმა მოაწყო ამხანაგური შეხვედრა ქართულ ჭიდაობაში სოფ. ზემო ალვანის ნაკრებთან. გაიმარჯვეს ნორჩმა აწყურელმა მოჭიდავეებმა. შეჯიბრებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ზ. ჩიკვილაძემ, კ. ბაშინურიძემ, ე. ბართიშვილმა, შ. უთიაშვილმა.

ორ კვირას გაგრძელდა აწყურის საშუალო სკოლის პირველობის გათამაშება ჭადრაკში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 18 მოსწავლე. 15 ქულით პირველი ადგილი დაიკავა მე-9 კლასის მოსწავლე ა. დავიდოვმა. ამჟამად სკოლის მოშაშეები ემზადებიან შეჯიბრებისათვის, რომელიც მოეწყობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 31 წლისთავთან დაკავშირებით.

კარგად მუშაობენ აგრეთვე სოფ. არაშენდის რვაწლიანი სკოლის, სოფ. ღუისისა და ქისტაურის სკოლების ფიზკულტურის კოლექტივები. მაგრამ რაიონის ზოგიერთ სკოლაში (სოფ. ოქიოს რვაწლიანი და სოფ. მატნის საშუალო სკოლები) ფიზკულტურული მუშაობა ჯერ კიდევ არ დგას მოწოდების სიმაღლეზე.

ვ. ყურშიტაშვილი

ახმეტის რაიონი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

რედაქციაში შემოვიდა წერილი, რომელიც ეხებოდა ოჩამჩირეში საბილიარდო ოთახის საჯალო მდგომარეობას.

წერილში აგრეთვე აღნიშნული იყო საბილიარდის გამგის მ. კობახიას არაკეთილსინდისიერი საქციელი: კობახიას არ ჰქონდა სალარო, არ აწარმოებდა შემოსული თანხის აღრიცხვას და ამ თანხიდან მხოლოდ ნაწილს აბარებდა სათანადო ორგანიზაციას.

წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა ოჩამჩირის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ა. მინჯიას.

შემოწმების შედეგად წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. საბილიარდოს გამგე მ. კობახია მოიხსნა სამუშაოდან, ხოლო საბილიარდო ოთახი, რომელიც რემონტს მოითხოვს, დროებით დახურულ იქნა. მისი კეთილმოწყობის საკითხი დაისვა რაიაღმასკომის წინაშე.

ხორცის ნაჭერი

ჯეკ ლონდონი

ტომ კინგმა პურის უკანასკნელი ლუკმით მოასუფთავა თეფშზე დარჩენილი საწებელი, პირი გამოიტვინა და დინჯად შეუდგა ღეჭვას. ერთხანს გარინდებული იჯდა, მერე წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. ამ საღამოს მარტო მას დაუთმეს ვახშამი, მაინც არ ეყო ტომს, მშიერი ადგა სუფრიდან. დედამ ადრე გაიყვანა ორი პატარა, იქნებ ძილმა თავისი ჭქნას და შიმშილმა გადაუაროთო. თვითონ ხომ არაფერს გაეკარა, მთელი საღამო ჩუმად იჯდა და შიშჩამდგარ თვალებს ქმარს არ აშორებდა.

უბრალო მუშა ქალი იყო ლიზი, ცხოვრებას ადრე მოეტეხა ოდესღაც ჯან-ღონით სავსე; გამხდარ სახეზე ძველი სილამაზის ნაშთიღა შერჩენოდა. ჭაპანწყვეტითა და სივალალით მიათრევდა ცხოვრებას საბრალო ლიზი. დღესაც მეზობლისაგან ისესხა ფქვილი საწებლისათვის, პური კი უკანასკნელი ნახევარშენით იყიდა.

ტომ კინგი ფანჯარასთან მდგარ ძველ სკამზე ჩამოჯდა, სკამი სიმძიმისაგან საცოდავად აჭრიალდა. ტომმა ჩვეულებრივად წაიღო ჩიბუხი პირისაკენ, მეორე ხელით კი გვერდითა ჯიბეში რაღაცას დაუწყო ძებნა. გაახსენდა, რომ დღეს თამბაქოს უკანასკნელი ნარჩენებიც კი ამოიბერტყა ჯიბიდან და გაბრაზებულმა ჩიბუხი გვერდზე გადადო.

მძიმედ მოძრაობდა ტომ კინგი, მიხრა-მოხრა ნელი და თითქმის ტლანქი ჰქონდა, გეგონებოდათ კუნთების სიდიდე ამძიმებსო. მკვრივ აღნაგობასთან ერთად გულგრილი გამომეტყველება მნახველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა. დაძველებული ტანსაცმელი აქა-იქ ჩამოსძენძოდა, ფეხსაცმლის ზედაპირი მეტად სუსტი და შეუფერებელი ჩანდა მძიმე ძირებისათვის, რომელიც დიდი ხნის ტარებით საკმაოდ დალეულიყო. საყელოგაცვეთილ, იაფფასიან ბამბის ხალათს ამოუყვანელი ლაქები ჩაჰკვდომოდა.

მხოლოდ სახე ღაღადებდა უტყუარად ტომ კინგის საქმიანობას. ეს იყო — ჯილდოსათვის მებრძოლი მოკრივის ტიპიური სახე, რომელსაც ოთხკუთხა რინგზე ხანგრძლივი ბრძოლებით პირუტყვული იერი დასდებოდა.

თუმც კუშტი შესახედაობა ჰქონდა ტომ კინგის, ნაკვთები მაინც მკვეთრად ემჩნეოდა: უფორმო, სქელი ტუჩები პირღია ჭრილობას მიუგავდა და ისედაც უხეშ სახეს მეტისმეტად უსიამოვნო შეხედულებას აძლევდა; მკაცრი, ენერგიული ნიკაპი ოდნავ წინ ჰქონდა წამოწვდილი; ხშირ, გაბურძგვნილ წარბებს ქვემოდან ნახევრად ღია თვალები თითქმის ყოველთვის უსიცოცხლოდ გამოიყურებოდნენ. ამ ნახევრად მთვლემარე გამოხედვით იგი ლომს ან რომელიმე მტაცებელ ნადირს მოგაგონებდათ. განიერი, დაქანებული შუბლი და აქა-იქ შეკრეჭილი თმები უპროპორციო, ულამაზო თავის ქალას ოღროჩოღოროებს ვერ უფარავდა. ურიცხვი დარტყმებისაგან სახეს ფორმა შეცვლოდა: ორჯერ გატეხილი და მუდამ გასიებული, წითელი კომბოსტოს მსგავსი ყურები ისედაც მახინჯ სახეს უფრო უმახინჯებდა. ახლად გაპარსულ წვერისაგან სახეს მუქი ლურჯი ფერი გადაჰკვროდა.

ერთი სიტყვით, ისეთი გარეგნობა ჰქონდა, რომ ბნელ ხეივნებსა და მივარდნილ ქუჩებში მისი დანახვა შიშს მოგგვრიდათ. ისე კი ტომ კინგი არ იყო ბოროტი კაცი. თავის დღეში ცუდი არაფერი ჩაუდენია. ამდენი დავდარაბისა და აყალმაყალის მიუხედავად, რაც სწორედ ისეთ ცხოვრებას მოსდევს ხოლმე, როგორსაც იგი ეწეოდა, მას არავისათვის ზიანი არ მიუყენებია, არც ჩხუბი აუტეხია უმიზეზოდ. იგი ხომ პროფესიონალი მოკრივე იყო და მთელ თავის ცხოველურ ძალღონეს კანონიერ გამოსვლებისათვის ინახავდა. რინგის გარეთ იგი დინჯი, კეთილი კაცი იყო და ახალგაზრდობაში, როცა ფული ბლომად ჰქონდა, მეტად ხელგაშლილიც. ძნელად თუ აწყენინებდა ვინმეს ტომი, ამიტომ მტერიც თითზე ჩამოსათვლელი ჰყავდა.

კრივი ხომ მისი საქმიანობა იყო: რინგზე, ცხადია, იგი ურტყამდა მოწინააღმდეგეს, ასახჩრებდა, ანადგურებდა, მაგრამ ამას ბოროტი განზრახვით როდი ჩადიოდა. ეს ხომ წმინდა საქმიანი მიზანი იყო: ხალხი იკრიბებოდა, ფულს იხდიდა, რომ ენახა, როგორ სცემდა ორი ადამიანი ერთმანეთს ცხვირ-პირში. ბრძოლაში გამარჯვებულს მძიმე ქისა ელოდებოდა. აი, რატომ იყო, რომ როცა ოცი წლის წინათ კინგი ვულუმულუ გაუჯერს შეხვდა, ხგი სამუდამოდ დაამახინჯა. მან კარგად იცოდა, რომ ვულუმულუს ნიუქასლის კრივში დამტვრეული ყბა ეს-ეს არის უხორცდებოდა; სწორედ ამიტომ იყო, რომ მაინცდამაინც ყბაში უმიზნებდა და მეცხრე რაუნდში ჩაუმტვრია კიდევაც ხელმეორედ; იმიტომ კი არა, რომ გაუჯერს მტრობდა ან მისი დასახიჩრება უნდოდა, არამედ უბრალოდ—ეს ადგილი ყველაზე უფრო უტყუარი გზა იყო გაუჯერის დასამარცხებლად და მძიმე ქისის ხელში ჩასაგდებად. არც გაუჯერი გადაჰკიდებია ამისათვის მტრად. კრივი ხომ თამაშა იყო, ორივემ იცოდა თამაში და კარგადაც გითამაშეს!

ჩუმი, გულჩათხრობილი კაცი იყო ტომ კინგი, ბავშვობიდანვე სიტყვაძვირი. ახლაც ცხვირპირჩამოშვებული, გარინდებული იჯდა ფანჯარასთან და თავის დიდრონ ხელებს დაჩერებოდა. ხელებზე ამომჯდარი დაბერილი ძარღვები და დასახიჩრებული თითები ნათლად მოწმობდა ტომ კინგის პროფესიას.

არავისაგან გაუგონია მოხუც მოკრივეს, რომ ადამიანის სიცოცხლე არტერიებზე იყო დამოკიდებული, საკუთარი დაბერილი ძარღვების მნიშვნელობა კი საუცხოოდ ესმოდა: ხელის ძარღვები განაგებდა ტომის ცხოვრებას.

დიდი დაძაბულობის დროს მისი გული ძარღვებში დიდძალ სისხლს გზავნიდა ხოლმე და პირამდე ავსებდა ისედაც სავსე არტერიებს. ახლა ძარღვები დაუძაბუნდა ტომ კინგს, თვითონ გამოსწოვა მათ სასიცოცხლო ძალა, დაუკარგა მოქნილობა, გააგანიერა. ძარღვების გაგანიერებასთან ერთად ამტანანობა შეეწყო და ძალაც გამოეცალა. ახლა მალე იღლებოდა ტომ კინგი. ვეღარ უძლებდა გაცეცხლებული რაუნდების რიგს, ულმობელ შებმას, ძალის სიჭარბეს, დარტყმას, დარტყმას, დარტყმას, გონგის დაკვრიდან გონგის დაკვრამდე, ღონის მოკრებას უწყალოდ დაღვრილ ძალღონის შემდეგ, ბრძოლით დახევას

ნახ. გ. ჯაფარიძისა

თოკებამდე, და მეტოქის თოკზე მიწყვეტას, ბოლო რაუნდზე უკანასკნელ ძალის დაძაბვას და ისევ შებმას; დარბაზს — ფეხებთან გართხმულს და მოგუგუნეს; დაცემას, ისევ წამოდგომას, მიხეთქებას, მსწრაფლ თავის დახრას და დარტყმების აცდენას თავში, მუშტების სეტყვას საპასუხოდ მუშტის სეტყვაზე და მუშტების სეტყვის მიღებას.

გამხეცებული რაუნდების დროს გული ერთგულად უწევდა ხამსახურს, გზავნიდა ტალღებად ქცეულ აზვირთებულ სისხლს თანასწორად ყველა ძარღვში. ძარღვები ერთხანს ივსებოდა, იბერებოდა და ისევ მალე იფუყებოდა; თუმც, პირველად შეუმჩნეველი, ზოგჯერ ოდნავ დაბერილი რჩებოდა.

ტომ კინგი თავის დაბეგვილ თითებს დაჩერებოდა, ერთი წუთით [illegible] ახალგაზრდა [illegible] ხელებ[illegible] [illegible] საოცარი ძალა ჰქონდა მუშტებში ტომ კინგს, სანამ თითებს ბენი ჯონსის თავს შეალეწდა, ბენი ჯონსის თავს, რომელსაც მეტსახელად „უელსის შიშის ზარს“ ეძახდნენ.

შიმშილმა კვლავ შეაწუხა ტომი.

— ღმერთმა დასწყევლოს, მაშ ერთი ლუკმა ხორცი ვერ უნდა იშოვოს კაცმა? — წაილუღლუღა გასაგონად კინგმა, ვეება მუშტები ძალუმად შეკუმშა, ტუჩები მაგრად მოკუმა, მაგრამ შეკავებული ოხვრა მაინც ამოჰყვა უკანასკნელ სიტყვას.

— ბარკთანაც მივედი, სეველეისთანაც, — დამნაშავის კილოთი წარმოთქვა ცოლმა.

— მერე, მოგცეს რამე?

— ნახევარშენის საფასურიც არ გამომატანეს, ბარკმა მითხრა... — ენა დაება ცოლს.

— თქვი ჰო, რა გითხრა?

— რომ შენ ამაღამ სენდელი დაგაგდებს და რადგან ჩემი ისედაც ბევრი გმართებთო, არაფერი გამომატანა.

კინგს არაფერი უპასუხნია, მხოლოდ წაიზმუილა. მისი ფიქრი შორეულ წარსულს დაუბრუნდა. რატომღაც ლამაზი ხვადი ტერიერი გაახსენდა, ყოველთვის რომ გემრიელი ხორცის ნაჭრებით ჰკვებავდა. ბარკი მაშინ ალბათ ხორცის ათას ნაჭერს მისცემდა ავანსად. ეჰ, წავიდა ის დრო, ტომ კინგი ხანში შევიდა; და ხნიერ მოკრივეს, რომელიც მეორეხარისხოვან კლუბებში-ღა გამოდის, მედუქნე ხშირად უარით ისტუმრებს.

დილიდანვე გაგიჟებით უნდოდა ხორცის პატარა ნაჭერი ტომ კინგს; მთელი დღე ეს სურვილი აწამებდა. სენდელთან შესახვედრად ის წინასწარ არ მომზადებულა, არც უვარჯიშნია.

ავსტრალიაში მოუსავლიანი, მშრალი წელიწადი იდგა, მძიმე დრო იყო, მეტად მძიმე. შავ სამუშაოსაც კი ძნელად იშოვიდა კაცი. მშვრთნელი ხომ ვერ იშოვა და ვერ იშოვა, რომ მასთან ევარჯიშნა, საჭმელზე კი ლაპარაკიც ზედმეტი იყო. როცა კი ბედი გაუღიმებდა და რამდენიმე დღით შავი მუშის ადგილს იშოვიდა, მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მაშინ ეძლეოდა საშუალება ცოტათი წაევარჯიშნა. ფეხის კუნთების გასავარჯიშებლად იგი დილაადრიან დომეინის მოედნის გარშემო დარბოდა. ეს იყო და ეს. მეტად მცირე იყო ასეთი ვარჯიში მშვრთნელის გარეშე. ისიც, როცა სახლში ცოლი და ორი პატარა მშიერი ეგულებოდა.

მედუქნის ვალი კარგა ბლომად ედვა, როცა სენდელთან შეხვედრა დაუნიშნეს. „ვეიტი“ კლუბის მდივანმა წინასწარ სამი გინეა მისცა, ბრძოლაში წაგებულის წილი, მეტის მიცემაზე კი უარი უთხრა. ხანდახან კინგს ძველი მეგობრები უმართავდნენ ხელს, ისინი ახლაც ასესხებდნენ, მაგრამ რა ექნათ, მოუსავლიანი წელიწადი იყო და თვითონაც ხელმოკლედ იყვნენ.

არა, რა საჭიროა სიმართლის დამალვა? კინგს რიგიანად არ უვარჯიშნია, შეეძლება ითქვას, სრულიად არ მომზადებულა შეხვედრისათვის. რა კარგი იქნებოდა საკმაო საკვები რომ ჰქონოდა, ნაკლები დარდი და კარგი მშვრთნელი. ესეც კია რომ მოხუცდა ტომი და ყველაფერს ძნელად იტანს, აბა ოცი წლის ვაჟკაცს ხომ არაფერი გაუძნელდებოდა.

— რომელი საათია, ლიზ? — იკითხა ტომმა. ცოლი დერეფანში გავიდა და მალე შემობრუნდა.

— რვას თხუთმეტი უკლია.

— მაშ რამდენიმე წუთის შემდეგ საცდელად პირველ წრეს დაიწყებენ, მერე კი ოთხრაუნდიანი შეხვედრა იქნება დილერ უელსსა და გრიდლეის შორის, მათ შემდეგ კი ათრაუნდიანი შეხვედრა სტარლაიტსა და რომელიმე მეზღვაურს შორის. მე მხოლოდ ერთი საათის შემდეგ მომიწევს.

თარგმანი ინგლისურიდან
ლამარა ბოკერიასი

(გაგრძელება იქნება)



დილა მეკიდობისა, ამნანაგენო!

I ვარჯიში. ხელების მოხრა და გამართვა ზევით (თითები გადახლართულია) ფეხის თანმიმდევრობით განზე, ფეხის ცერზე გადადგმით.



საწყისი მდგომარეობა: ფეხები ერთად, თავი დახარეთ, ხელები დაუშვით, თითები გადახლართეთ.

თვლაზე 1-2: მოხარეთ ხელები, თითქოს ხელის გულებს მიაცურებთ ტანის გასწვრივ (თითები ერთმანეთს არ დააშოროთ), ხელის გულები შეაბრუნეთ წინ და ხელები გამართეთ ზევით, ერთდროულად გადადგით მარცხენა ფეხი განზე—ფეხის ცერზე, გაიზნიქეთ და ჩაისუნთქეთ;

თვლაზე 3-4: თითები დაშორეთ ერთმანეთს, ხელები დაუშვით განზე და ქვევით, დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, ამოისუნთქეთ.

შემდეგ ოთხ თვლაზე შეასრულეთ იგივე ვარჯიში მარჯვენა ფეხის განზე გადადგმით.

II ვარჯიში. ჩაჯდომი ხელების უკან გაწევით.



საწყისი მდგომარეობა: ფეხები გაშალეთ მხრების სიგანეზე, ტერფები პარალელურად, ხელები აწიეთ ზევით.

თვლაზე 1-2: ჩაჯექით მთელ ტერფზე, ხელები დაუშვით წინ და ქვევით, შემდეგ გაწიეთ ისინი უკან და ამოისუნთქეთ;

თვლაზე 3-4: გაიმართეთ და დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, ჩაისუნთქეთ.

III ვარჯიში. ზურგზე წოლითი მდგომარეობიდან ფეხების მოხრა და ვერტიკალურ მდგომარეობამდე გამართვა.

საწყისი მდგომარეობა: დაწექით ზურგზე, გამართული ფეხები შეაერთეთ, ხელები გამართეთ ტანის გასწვრივ.

★

დიდის ვარჯიშების მეშვიდე კომპლექსი

★



თვლაზე 1-2: მოხარეთ ფეხები, მუხლები მიუახლოეთ მკერდს, შემდეგ ფეხები გამართეთ ვერტიკალურ მდგომარეობამდე, ამოისუნთქეთ;

თვლაზე 3-4: გამართული ფეხები დაუშვით ქვევით საწყის მდგომარეობაში, ჩაისუნთქეთ.

IV ვარჯიში. ტანის ამოზნექა ხელების განზე აწევით.



საწყისი მდგომარეობა: დადგით მარჯვენა ტერფი სკამის საჯდომზე, ფეხი მოხარეთ სწორ კუთხემდე (ან შეგიძლიათ იატაკზე დაიჩოქოთ მარცხენა მუხლზე), თავი და ტანი დახარეთ, ხელები თავისუფლად დაუშვით.

თვლაზე 1-2: გაიმართეთ, ხელები აწიეთ განზე, გაიზნიქეთ და ჩაისუნთქეთ;

თვლაზე 3-4: დაიხარეთ და დაუშვით ხელები, დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, ამოისუნთქეთ.

V ვარჯიში. ხელების დაჭიმულად მოხრა და გამართვა.

საწყისი მდგომარეობა: ფეხები გაშალეთ მხრების სიგანეზე, ხელები აწიეთ განზე ხელის გულებით ზევით.

თვლაზე 1: დაჭიმულად მოხარეთ ხელები იდაყვებში, თითები მომუჭეთ;

თვლაზე 2: თავისუფლად გამართეთ ხელები, გაშალეთ თითები. ვარჯიშის დროს სუნთქვა თანაბარია.



VI ვარჯიში. ტანის გვერდზე დახრა ერთი ხელის თავს ზევით, ხოლო მეორის—ზურგს უკან მოხრით.



საწყისი მდგომარეობა: ფეხები გაშალეთ მხრებზე ცოტათი უფრო განივრად. ხელები აწიეთ განზე.

თვლაზე 1-2: დახარეთ ტანი მარცხნივ, მარჯვენა ხელი აწიეთ მაღლა და თავისუფლად მოხარეთ თავს ზევით, ერთდროულად მარცხენა ხელი გაწიეთ ტანს უკან და მოხარეთ, ამოისუნთქეთ;

თვლაზე 3-4: გაიმართეთ, ხელები აწიეთ განზე და ჩაისუნთქეთ.

შემდეგ ოთხ თვლაზე შეასრულეთ იგივე ვარჯიში მეორე მხარეს.

VII ვარჯიში: წახტომები: ორი წახტომი ერთ ფეხზე, ორი—მეორეზე.

საწყისი მდგომარეობა: ფეხები ერთად, დოინჯი. ყოველ თვლაზე გააკეთეთ წახტომები ადგილზე: ორი წახტომი ერთ ფეხზე, შემდეგი ორი — მეორეზე და ა. შ. თავისუფალი ფეხი ოდნავ იხრება მუხლში. წახტომების დროს სუნთქვა თანაბარია.



ს. მ. — საწყისი მდგომარეობა.

ჰელსინკში ოლიმპიურ თამაშებში ჩინეთის სპორტსმენთა მონაწილეობის შესახებ

პეკინი, 15 თებერვალი. (საკდესი). სინხუას საგენტო იუწყება, რომ სრულად ჩინეთის ფიზკულტურულმა საზოგადოებამ ამას წინათ აცნობა ოლიმპიური თამაშების საერთაშორისო კომიტეტს, რომ ჩინეთი მონაწილეობას მიიღებს ოლიმპიურ თამაშებში ჰელსინკში მიმდინარე წლის ივლისში. ჩინეთმა წინათ რამდენიმეჯერ მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო ოლიმპიურ თამაშებში და სრულიად ჩინეთის ფიზკულტურულმა საზოგადოებამ გადაწყვიტა განაგრძოს ეს პრაქტიკა.

მიუთითა რა, რომ სრულიად ჩინეთის ფიზკულტურული საზოგადოება ერთადერთი ფიზკულტურული ორგანიზაციაა, რომელიც უფლებამოსილია წარმოადგენდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, საზოგადოებამ განუცხადა ოლიმპიური თამაშების საერთაშორისო კომიტეტს, რომ არც ერთ სხვა ორგანიზაციას, და მათ შორის ტაივანის გომინდანური ხროვის არც ერთ ორგანიზაციას, არ შეუძლია წარმოადგენდეს ჩინეთს და არ უნდა იქნეს დაშვებული მონაწილეობის მისაღებად მომავალ ოლიმპიურ თამაშებში ანდა რომელიმე თათბირში, რომელიც მოწვეულ იქნება ამ თამაშებთან დაკავშირებით.

* * *

ჰელსინკი, 16 თებერვალი. (საკდესი). გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა იმის შესახებ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ გადაწყვიტა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის სურვილი. ამასთან ერთად, გაზეთ „სუომენ სოსიალიდემოკრატში“ გამოქვეყნებულია ოლიმპიური თამაშების საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარის ოტო მაიერის განცხადება, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არ შეიძლება მიღებულ იქნას კომიტეტში, რადგან ჩინეთს იქ უკვე ჰყავს წარმომადგენელი გომინდანისაგან.

ოლიმპიური თამაშების საერთაშორისო კომიტეტის ასეთ პოზიციასთან დაკავშირებით საზოგადოება „ფინეთი—ჩინეთის“ თავმჯდომარემ, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მაუნო პეკალამ, რომელიც ამავე დროს ოლიმპიური თამაშებისათვის ფინეთის მოსამზადებელი კომიტეტის წევრია, დღეს გაზეთ „ტიუეკანსან სანომატში“ გამოქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ ოლიმპიადაში მონაწილეობის შესახებ ჩან კაი-შის ხროვისათვის გაგზავნილი მოწვევა წარმოადგენს აბსურდს. პეკალა მიუთითებს, რომ ჩინეთს ჰყავს კანონიერი მთავრობა, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში. პეკალამ აღნიშნა, რომ სწორედ ამ მთავრობისათვის უნდა გაეგზავნათ ოლიმპიურ თამაშებში მოწვევა.

ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი

ოსლო, 15 თებერვალი. (საკდესი). ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა, რომელიც გუშინ გაიხსნა, ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება კონგრესის მუშაობაში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის პ. სობოლევის მონაწილეობის შესახებ. სხდომაზე პ. სობოლევის გამოჩენას აპლოდისმენტებით შეხვდნენ.

ფედერაციაში წევრად მიღების შესახებ ჰოკეისტთა საბჭოთა სექციის განცხადებასთან დაკავშირებით კონგრესმა მოითხოვა წერილობითი დადასტურება იმის შესახებ, რომ ეს სექცია ეთანხმება წესდებას და ჰოკეიში შეჯიბრების ჩატარების წესებს, რომლებიც მიღებულია ფერედაციის მიერ. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა დაკმაყოფილა ეს თხოვნა.

გახსნილი კონგრესი წარმოადგენს ნახევარწლიურს და წესდების მიხედვით უფლებამოსილი არ არის მიიღოს გადაწყვეტილება ახალი წევრების მიღების შესახებ, რაც ხდება მხოლოდ ფედერაციის წლიურ კონგრესებზე. ფედერაციის პრეზიდენტი 17 თებერვალს ჩაატარებს ოფიციალურ გამოკითხვას კონგრესის წევრთა შორის მათს თანხმობაზე გამართულ იქნას კენჭისყრა საბჭოთა სექციის მიღების შესახებ ამ კონგრესზე.

მათი ზნე-ჩვეულებანი

მილიონერი სპორტსმენი

ტრადიციული ველორბოლა „ტურ დე ფრანსი“ 1951 წელს მოიგო შვეიცარიელმა კობლემ. მან ჯილდოდ მიიღო მილიონი ფრანკი, ამდენივე ერგო კობლეს ცალკეულ ეტაპებზე გამარჯვებისათვის, ასიათასობით ფრანკი აღმართების დაძლევაში მესამე ადგილისათვის და ათიათასობით ფრანკი კონტრაქტებში.

რეაქციული გაზეთები ხმამაღლა გაჰყვიროდნენ კობლეს წარმატებაზე, მის სიმდიდრეზე. არავინ არ იხსენიებდა მომდევნო ხუთ ადგილზე გამოსულთ და დანარჩენ 60 მონაწილეს, რომელთაც წარმატებით დაამთავრეს ველორბოლა. გაზეთებს ერთხელაც არ მოუხსენებიათ ისინი, ვინც ავარიების გამო ჩამოშორდა რბოლას, სამუდამოდ დასახიჩრდა ან დაღუპა.

— რა საჭიროა მათი მოხსენიება, მათ ხომ ვერაფერი ვერ მოიგეს, — „განმარტავდნენ“ ფრანგული ბურჟუაზიული გაზეთების მესვეურნი.

თხილამურებით ბაკურიანიდან ქუთაისამდე

ცა ოდნავ მოიღრუბლა. წამოუბერა სუსხიანმა ქარმა. ბაკურიანის სათხილამურო ბაზის ეზოში უჩვეულო გამოცოცხლებაა; აქ სალაშქროდ ემზადება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალპინისტ-მოთხილამურეთა ჯგუფი.

აი, დამთავრდა თხილამურების სამაგრების გასინჯვა, საცხის შემოწმება და მშრალ, ახლადდადებულ თოვლზე ციხისჯვრის მიმართულებით გაეშურა პირველი მოლაშქრე.

— კეთილი მგზავრობა! ყოჩაღად, ბიჭებო!—გაისმა შეკრებილთა შეძახილები.

სულ მალე მოლაშქრეები თვალს შეეფარნენ. უკან დარჩა ბაკურიანის გადათოვლილი მიდამოები და 4 თებერვლის სუსხიანი დილა.

უნივერსიტეტის ალპინისტ-მოთხილამურეთა ჯგუფი 9 კაცის შემადგენლობით სალაშქროდ გაემგზავრა ქუთაისისაკენ ასეთი მარშრუტით: ციხისჯვარი—საკირე — აწყური—აგარა—ახალციხე — აბასთუმანი—ზეკარი — მაიაკოვსკი. დასაძლევია 250 კილომეტრი ძნელი, მაგრამ საინტერესო გზა.

...ციხისჯვრის უღელტეხილი. ირგვლივ თოვლი და ქარბუქი. წინწასულებს რაღაც ხმაური მოესმათ და შეჩერდნენ. გამოირკვა, რომ ლაშქრობის ერთ-ერთ მონაწილეს ჯ. მეძმარიაშვილს თხილამური გატეხოდა. მოლაშქრეები ოდნავ დაფიქრდნენ, აქ ხომ არ დატოვებენ ამხანაგს, უთხილამუროდ წასვლა კი თითქმის შეუძლებელია.

„დაზარალებულს“ დახმარება გაუწიეს ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა და მალე მეძმარიაშვილი ერთი კოლმეურნის მიერ მოტანილ თხილამურებზე იდგა.

უკან დარჩა საკირე, აწყური, აგარა, ახალციხე, აბასთუმანი... მოლაშქრეთა მუდმივი თანამგზავრია დაუსრულებელი ქარი, დილით მოწმენდილი ცა შუადღისათვის იღრუბლება და წინსვლა სულ უფრო და უფრო ძნელდება.

8 თებერვალს ჯგუფი მიადგა ზეკარის უღელტეხილს, რომელიც განრისხებული და შუბლშეკმუხნილი შეხვდა მოლაშქრეებს. ძლიერ ქარბუქს თითქმის მთლიანად გადაუხვეტია გზიდან თოვლი. გადაწყდა 150-200 მეტრის ფეხით გავლა.

ზეკარის უღელტეხილის ძირში ჯგუფი მოულოდნელად გაჩერდა. უეცრად ჩამოწოლილმა ზვავმა გზიდან მოიტაცა ერთ-ერთი მოლაშქრე. ჯგუფი ამ ხიფათმა არ დააბნია. ნაწილმა წინსვლა განაგრძო, ზოგიერთი კი თხილამურებით ქვევით დაეშვა. ზვავის „მსხვერპლი“ ხის ძირში წამომჯდარიყო და თოვლს იბერტყდა.

— ბიჭო, გადარჩი? — ხუმრობით შეეკითხნენ მას მეგობრები.

— დასაღუპი რა მქონდა! ფერდობის ძირი მაინტერესებდა და იმიტომ დავექანე ქვევით.

მალე წინწასულთ ჩამორჩენილებიც დაეწიენ და გზა ერთად განაგრძეს.

ექვსი დღის ლაშქრობის შემდეგ, 10 თებერვალს, უნივერსიტეტის მოთხილამურენი ქუთაისში იყვნენ. მამაც მოლაშქრეებს გულთბილად შეხვდნენ ქალაქის მშრომელები.

მესამე დღეს მოლაშქრეთა ჯგუფი მშობლიურ თბილისში იყო.

ნ. გუგუშვილი

უნივერსიტეტის სტუდენტთა ლაშქრობა

საბერძნეთის მთავრობის პოლიტიკა მთლიანად ექვემდებარება ამერიკის შეერთებული შტატების მითითებებს.

ნახატი **მ. ოთაროვისა** (გაზეთებიდან)



„სალიდარო რბოლის“ ბერძნული ხერხი

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. **რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12;** **დეპეშებისათვის: თბილისი „ლელო“.** **ტელეფონი 3-90-34.**

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

УЦ 00140